ყველასათვის საინტერესო ნაშრომი



ამ დღეებში საზოგადოებამ მიიღო საქართველოში პირველი ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი ქალის, პროფესორ როზეტა ასათიანის ახალი, ძალზე აქტუალური და საინტერესო წიგნი – „XX საუკუნის მსოფლიო ეკონომიკის კონცეპტუალური ანალიზი და საქართველოს ეკონომიკური პორტრეტი“, რომლის მეცნიერ-რედაქტორია ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. ნოდარ ჭითანავა.

სარეცენზიო ნაშრომში, მსოფლიოში მიმდინარე გლობალური პროცესების ფონზე, საქართველოში განვითარებული სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციების გაანალიზების საფუძველზე ყველასთვის გასაგებ ენაზე, განხილულია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის პრობლემები დასაბამიდან დღემდე. აღნიშნულიდან გამომდინარე, დარწმუნებული გახლავართ, იგი საინტერესო იქნება არა მხოლოდ ეკონომისტებისთვის, არამედ მკითხველთა ფართო წრისთვისაც. მეტიც, მივესალმებით, თუ ეს უნიკალური ნაშრომი შეტანილი იქნება საშუალო და უმაღლესი განათლების ნებისმიერი პროფილის მოსწავლეებისა და სტუდენტების სავალადებულო საკითხავი ლიტერატურის სიაში. მითუმეტეს, რომ პროფესორი როზეტა ასათიანი ამ წიგნს უძღვნის საქართველოს სტუდენტ ახალგაზრდობას.

სარეცენზიო ნაშრომში „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის“ პრინციპით,პრაქტიკულად კონსპექტის ფორმატშია განხილული ეკონომიკური მეცნიერების საწყის ეტაპზე, ანტიკური საბერძნეთის მოაზროვნეების – ქსენოფონტის, პლატონისა და არისტოტელეს ღვაწლის შესახებ. შემდეგ კი დეტალურადაა გაანალიზებული დამსახურება ეკონომიკური თეორიის ისეთი თვალსაჩინო წარმომადგენლებისა, როგორებიც გახლდნენ XVII საუკუნის უდიდესი ეკონომისტი ადამ სმითი, XIX საუკუნის დიდი მოაზროვნე კარლ მარქსი

და XX საუკუნის ეკონომიკური მეცნიერების უდიდესი წარმომადგენელი ჯონ მეინარდ კეინზი.

ქართველი მკითხველისთვის განსაკუთრებით საგულისხმოა წიგნის ერთ-ერთ თავში „ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა ქვის ხანიდან ახალ ეპოქამდე“ განხილულია ჩვენი ქვეყნის მიღწეული დადებითი შედეგები და უარყოფითი მომენტები. ამასთან, ზოგიერთ შემთხვევაში, უფლებას ვიტოვებ არ დავეთანხმო ქალბატონი როზეტას რამდენიმე მოსაზრებას, მათ შორის:

„საბჭოთა კავშირში ჩამოყალიბებულმა „სოციალიზმმა“ სახელი გაუტეხა სოციალიზმის თავისთავად საკმაოდ მომზიდველ იდეას“ (გვ. 62);

„ცენტრალიზებულმა დაგეგმვამ პრაქტიკულად დაკარგა ეკონომიკის მართვისა და მისი რეგულირების ფუნქცია“ (გვ. 64);

„მსოფლიოში მიმდინარე პოზიტიური ცვლილებების ფონზე, 90-იანი წლების დასაწყისში, საქართველომ სახელმწიფოებრიობის აღიარების საფუძველზე, შეცვალა განვითარების კურსი, გეზი აიღო საბაზრო ეკონომიკისაკენ, მიზნად დაისახა ეკონომიკის კონვერსია – მთელი საზოგადოებრივი წარმოების რადიკალური გარდაქმნა. ამრიგად, საქართველო შეუერთდა მსოფლიო ეკონომიკის მიმდინარე პროგრესულ პროცესებს, რითაც დაიწყო ახალი ეპოქა მის განვითარებაში“ (გვ. 69).

ჩვენი მოსაზრებით, საქართველოში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, სხვადასხვა ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო სიტუაცია ისე არ განვითარდა, როგორც სასურველი იყო. ამ შემთხვევაში ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე თუ ვიტყვით, მთავარი დამნაშავე იყო და არის ჩვენი უნიათო ხელისუფლება, რასაც ადასტურებს პროფესორ როზეტა ასათიანის კვალიფიკაციური, ობიექტური დასკვნები და შეფასებები. შესახსენებლად, გაახლებთ რამდენიმე ამონარიდს ამ უნიკალური წიგნი-კონსპექტიდან:

„საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, ევროგაერთიანებისა და სხვათა მიერ შემუშავებული რეკომენდაციები და წინადადებები... ნაკლებად ითვალისწინებდა საქართველოს თავისებურებებს, ეროვნულ ინტერესებსა და ქვეყანაში შექმნილ რთულ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას“.

„გარდამავალი პერიოდის სტრატეგია საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. მისი ბედი ერთიანი მეთოდოლოგიური პრინციპების, ქვეყნის თავისებურებების გაუთვალისწინებლობისა და პოლიტიკური ნების არარსებობის გამო კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. ეკონომიკურ პროცესებზე სტიქიურმა ძალებმა მოახდინა დიდი ზემოქმედება. მძიმე აღმოჩნდა მემკვიდრეობა, გააქტიურდა კრიმინალური სტრუქტურები. სახელმწიფოებრივი „ნიშა“ მაფიოზურმა ჯგუფებმა დაიკავა... წინა პლანზე წამოიწია სამშობლოსადმი დამოკიდებულების გამოხატვის თავისებურმა ფორმამ – მისადმი მომხმარებლური თვალით ყურებამ. ადამიანთა ამ კატეგორიამ, რომელსაც ონორე დე ბალზაკმა თავის დროზე სოციალური ნული უწოდა, მხოლოდ იმაზე დაიწყო ფიქრი, თუ რას მისცემდა სამშობლო და არა იმაზე, თვით რას გასცემდა მისთვის. მათმა მნიშვნელოვანმა ნაწილმა ზედა ეშელონებში მოიკალათა“;

„სასაქონლო დეფიციტთან ერთად, აშკარად იგრძნობოდა რეფორმისტული სულისკვეთებით გამსჭვალულ ადამიანთა დეფიციტიც“;

„იმის გამო, რომ ქვეყანაში არ იყო პოლიტიკური ნება, საქმე ვერ წავიდა წინ. ამიტომ, იმ ერთ ნაბიჯს, რომელიც საქართველომ გადადგა წინ 90-იანი წლების დასაწყისში, მოჰყვა ორი ნაბიჯი უკან, რის შედეგადაც სოციალური სამართლიანობის ლოზუნგზე აგებული საბჭოური მონოპოლია შეიცვალა კლანურ ინტერესებზე აგებული კაპიტალისტური მონოპოლიით“;

„დაშვებული უხეში შეცდომების შედეგად, ჩამოყალიბდა ქონებრივად მკვეთრად დიფერენცირებული საზოგადოება, რაც მთავარია, ვერ ჩამოყალიბდა საშუალო ფენა. პირიქით, მოსახლეობის 55% სიღარიბის ზღვარს მიღმა აღმოჩნდა“;

„სახელისუფლებო წნეხის ქვეშ აღმოჩნდა ოფიციალური სტატისტიკური სამსახური, არაჯანსაღმა სტატისტიკამ ხელოვნურად შეცვალა რეალური სურათი და გაართულა სწორი დასკვნების გაკეთება“;

„საქართველომ ვერ შეძლო ექსპორტზე ორიენტირებული ქვეყანა გამხდარიყო. დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე, მან თავი ვერ დააღწია უარყოფით საგასახდელო ბალანსს“;

„პრივატიზაციის პროცესში სახელმწიფომ უყურადღებოდ დატოვა ინტელიგენ-

ცია, მეცნიერები, პედაგოგები, ექიმები, ხელოვნებისა და კულტურის მუშაკები, რომლებიც შემდეგ, ცხოვრების დონის უკიდურესი დაცემის გამო, აღმოჩნდნენ უმძიმეს მდგომარეობაში (აღნიშნული ძირითადად განაპირობა იმან, რომ საქართველოს თითოეულმა მოქალაქემ საყოველთაო პრივატიზაციის შედეგად მიიღო მხოლოდ 30 აშშ დოლარის ღირებულების ვაუჩერი, ნაცვლად კუთვნილი 12 000 აშშ ღირებულების ვაუჩერისა. ა.ბ.).

„იმ თეორიას, რომელიც საქართველოს ეკონომიკურ პოლიტიკას ამ პერიოდში ედო საფუძვლად, „სტაგნაციის ახალი თეორია“ შეიძლება ეწოდოს“;

„საქართველოს გარდამავალი პერიოდის ეკონომიკურ პოლიტიკაში საანალიზო პერიოდის არც ერთ ეტაპზე, სამწუხაროდ, სათანადოდ არ იქნა გათვალისწინებული მსოფლიოში ფართოდ აპრობირებული მდიდარი გამოცდილება. კლასიკური ფორმით ეკონომიკური ზრდის არცერთი მოდელი არ გამოუყენებია საქართველოს“.

საგულისხმო და მისასალმებელი გახლავთ ის, რომ პროფესორი როზეტა ასათიანი თავის უამრავ სამეცნიერო ნაშრომში, ძალზე კვალიფიურად აყალიბებს ზემოაღნიშნული პრობლემების (დაშვებული უხეში შეცდომების) მოგვარების გზებსა და მიმართულებებს, რომელთა ჭკვიანური გადაწყვეტა რეალურად წაადგება ჩვენს ქვეყანაში არსებული ურთულესი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის დაძლევას.

ანზორ ბაბუხადია